



სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახური

ხელმომწერი ორგანიზაციები ვებმნიშვნებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ თამთამიქელაძის გამოკითხვაზე დაბარების საკითხს

ხელმომწერი ორგანიზაციები ვებმნიშვნებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ თამთამიქელაძის გამოკითხვაზე დაბარების საკითხს

როგორც დღეს საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ადამიანის უფლებების სწავლებისა დამონიტორინგის ცენტრის (EMC) ერთ-ერთი დირექტორი, თამთა მიქელაძე 30 მაისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში გამოსაკითხი პირის სტატუსით სუს-მა დაიბარა. [უს-ის ბოგადი განმარტებით, გამოძიება შეეხება რასობრივ დისკრიმინაციას, რადგან გარკვეული პირები ცდილობენ ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში ეთნიკურ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის გაღვივებას.

სუს-ის მიერ გამოძიების დაწყება ბუნდოვანი ამოცანით, ხოლო შედეგად, არასამთავრობო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოკითხვაზე დაბარება, შეიძლება აღიქმებოდეს როგორც მინიშნება და გაფრთხილება სამოქალაქო აქტივისტების მიმართ. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, იმ პირობებში, როცა ჩვენს სახელმწიფოში სამართლის უზენაესობა და ძალოვანი სტრუქტურების ჭარბი ძალაუფლებასაპარლამენტო თუ სასამართლო კონტროლის მიღმა ისედაც დიდი გამოწვევაა და ხშირად სამოქალაქოსაზოგადოება კონტროლისა თუ განონასწორების ერთადერთ ცენტრს წარმოადგენს.

აღნიშნული პრაქტიკა სახიფათოა იმის გამოც, რომ, დიდი ალბათობით, სუს-ი მოითხოვს გაფორმდეს გაუთქმელობის ხელწერილი, რაც შეუძლებელს გახდის არამხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ამ კონტექსტში გამოძიებაზე დაბარების ფაქტის მართებულობაზე ეფექტიან მსჯელობას, არამედ, თამთა მიქელაძე, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებზე საზოგადოების ინფორმირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი აქტივისტი, მოკლებული იქნება შესაძლებლობას, საზოგადოებას თავისუფლად, შეუზღუდავი სახით მიანოდოს ხელისუფლების ალტერნატიული ინფორმაცია.

ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს, შევახსენოთ ხელისუფლებას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ არა პრობლემის წყაროს არამედ პრობლემის მამხილებელ აქტორებს, რომლებიც გონიერმა ხელისუფლებამ უნდა განიხილოს საკუთარ მოკავშირედ პრობლემის ძირეული აღმოფხვრის საქმეში.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ქართველოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა(GDI)

ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

უფლებები საქართველო